



CAPECITABINE - XELODA®

რა არის XELODA

მოლეკულის აღწერა	აღწერა
კაპეციტაბინი	150 მგ-იანი აბი: ოვალური, ღია ატმისფერი 500 მგ-იანი აბები: ოვალური, ვარდისფერი არსებობს გენერიკები სხვადასხვა ფორმით. 

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, ის არის მგ დღეში, ანუ 150 მგ-ანი აბი და 500 მგ-იანი აბი, რომელიც უნდა მიიღოთ 2-ჯერ დღეში,

(მუთუთი, უწყვეტად იღებთ თუ არა).

ტაბლეტი უნდა გადაყლაპოთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან, დაქუცმაცების, გატეხვის,

დაღეჭვის ან განზავების გარეშე. მიიღეთ ფიქსირებულ დროს, კვებიდან 30 წუთის

განმავლობაში.

დავინწყების ან ღებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ორი მიღება დღეში, ფიქსირებულ დროს, კვებიდან 30 წუთის განმავლობაში								
	 დ1	 დ15	 დ21					
	 დ1	 დ2	 დ3	 დ4	 დ5	 დ6	 დ7	 დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელით მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და დაგეგმეთ რეცეპტის განახლება წინასწარ.

გთხოვთ შეინახოთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის ანალიზის მაჩვენებლებს და თირკმლისა და ღვიძლის ფუნქციებს) და კლინიკურ (ელექტროკარდიოგრამა) მეთვალყურეობას.

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

XELODA®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთმაგალითი: თავიდან აიცილეთ ფოლათით მდიდარი დანამატების მიღება კაპეციტაბინთან ერთად.



რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

ყველაზე ხშირი გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: დიარეა, გულისრევა, ღებინება, წონის კარგვა, ანთება პირის ღრუში (წყლულები) კანის დარღვევები: ხელისგულების, ფეხებისა და ხახუნისადმი მგრძნობიარე უბნების ანთება სხვა: დაღლილობა, წონის დაკარგვა
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები > წონის სწრაფი და/ან მნიშვნელოვანი კარგვა > ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა > პირის ღრუს ტკივილი ან წყლულები, რომლებიც ხელს უშლის ნორმალურ კვებას > ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში გულის პრობლემის ან ფეხების მარცვნილობის სიმპტომები > სუნთქვის უკმარისობა, გულის ფრიალი, წნეხი გულმკერდის არეში > შენითლება წვივის არეში, ტკივილი და შეხურება ინფექციის მარცვნილობის სიმპტომები > ტემპერატურა > 38,5 °C > ხველება, ყელის ტკივილი, ტკივილი შარდვისას, დიარეა და სიცხე ერთად
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
კანის მოვლა	ხელებსა და ფეხებზე: წაისვით ხელებსა და ფეხებზე დამატენიანებელი კრემი ან რძე და/ან შემახორცებელი კრემი (ძლიერი შეხელების გარეშე). მოარიდეთ ხელები და ფეხები სიცხეს (ცხელი წყალი) მოერიდეთ აქტივობებს, რომლის დროსაც ხდება ხახუნი ან წარმოიქმნება წრილობები. ნუ ატარებთ ძალიან მოჭერილ ტანსაცმელს, წინდებსა და ფეხსაცმელებს სხეული: ჰიგაენისთვის უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონსა და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. მზისგან დასაცავად გამოიყენეთ მზის დამცავი კრემი და მოერიდეთ მზეზე გასვლას.
სტომატოლოგიური ჰიგიენა	გამოიყენეთ რბილი კბილის ჯაგრისი და პირის ღრუს სავლები ნატრიუმის ბიკარბონატით. მოერიდეთ მენტოლის ან ალკოჰოლის შემცველ პირის ღრუს სავლებს
დაღლილობა	ამჯობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებაღეობა, ცურვა, ველოსიპედით გადაადგილება, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალბოჭკოვან საკვებს. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. არ მიირთვათ უმი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ყავა და ალკოჰოლი. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
წონის დაკარგვა	უპირატესობა მიანიჭეთ უფრო კალორიულ საკვებსა და „გემრიელ კვებას“
გულისრევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
პირის ღრუს ანთება (წყლულები)	მოერიდეთ მჟავე ან წებოვანი საკვების მიღებას და ძალიან მარილიან საკვებს.

